

# W G A S F

დასავლეთ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

შ ე ჯ ი ბ რ ი ს ღ ე ბ უ ლ ე ბ ა

წყვილთა რბოლა  
„დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშება“  
IV ეტაპი

08.09.2019

ბონი

## 1. შეჯიბრების პროგრამა

08.09.2019

1. მონაწილეთა რეგისტრაცია 10:00–12:30 სთ.
2. სავალდებულო ბრიფინგი 12:30 სთ.
3. კენჭისყრა 12:45სთ.
4. რბოლის სტარტი 13:00სთ.

## 2. შეჯიბრების ორბანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრების ორბანიზატორი: დასავლეთ საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

საკონტაქტო პირი: 599 14 37 24 ნიკოლოზ სვანიძე  
ტელ: 577 38 32 60 ლევანი

### ოფიციალური პირები:

შეჯიბრების დირექტორი: ნიკო სვანიძე  
შეჯიბრების ხელმძღვანელი: გიორგი აბრამია  
დამკვირვებელი სსსფ-დან: გამოქვეყნდება დამატებით  
უსაფრთხოების კომისარი: გამოქვეყნდება დამატებით  
ტექ.კომისარი: გამოქვეყნდება დამატებით  
შეჯიბრების მდივანი: გამოქვეყნდება დამატებით  
ტრასის კომისარი: გიორგი აბრამია

## 3. შეჯიბრების პირობები

- შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის, დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების რეგლამენტისა, ტექნიკური მოთხოვნებისა და ამ დებულების შესაბამისად.
- შეჯიბრება მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების III ეტაპში გამარჯვებულების გამოვლენას რომლის შედეგიც მხედველობაში მიიღება დასავლეთ საქართველოს თასის გათამაშების 2019 წლის გამარჯვებულების გამოსავლენად;
- შეჯიბრებისთვის შერჩეულია სპეციალური სარბოლო ტრასა.
- სასტარტო ბადეზე ავტომობილების განლაგება მოხდება კენჭისყრის შედეგების მიხედვით.

- რბოლის დროს ორი ავტომობილი დგება ერთმანეთის პარალელურად განთავსებულ სარბოლო ტრასაზე.
- სტარტს იღებს ერთდროულად, გადის ერთსა და იმავე მანძილს, ერთსა და იმავე ტრასაზე.
- თითოეული რბოლა შედგება ორი გარბენისგან, ფრეს შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად დაემატება ერთი გარბენი.
- თითოეულ გარბენში გამარჯვებულია მონაწილე რომელიც პირველი გადაკვეთს ფინიშის ხაზს.
- მონაწილე რომელიც გარბენს არ გაივლის სრულად და წინასწარი ტრაექტორიის შესაბამისად, გარბენი ჩაეთვლება წაგებად.
- ნებისმიერ გარბენზე მონაწილე ვალდებულია გადაკვეთოს ფინიშის ხაზი.
- თუ კი ერთი მონაწილე დაეწევა მეორე მონაწილეს ამ შემთხვევაში ავტომობილს რომელიც დაეწია მოწინააღმდეგეს გარბენი ეთვლება მოგებად;
- სტარტი: ადგილიდან მსაჯის სიგნალით
- ფინიში: ავტომობილის კორპუსის რომელიმე ნაწილით ფინიშის ხაზის გადაკვეთა (ერთი სრული წრე).
- ფალსსტარტის (ოფიციალური სტარტის მიცემამდე ნებისმიერი სახის მოძრაობის დაწყება) შემთხვევაში მონაწილეები სტარტზე დგებიან თავიდან. ერთი და იგივე მრბოლელის მიერ ნაადრევად სტარტის გამოტოვების შემთხვევაში (კონკრეტული მრბოლელის მიერ) გარბენი ჩაეთვლება წაგებად.
- შეჯიბრების დღეს, ოფიციალურ სტარტამდე სარბოლო მონაკვეთზე მონაწილეთა ვარჯიში შეჯიბრების ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
- რბოლის დროს აკრძალულია ჰალოგენები და დამხმარე მანუქი საშუალებები რომლებიც არაქარხნულადაა დამონტაჟებული ავტომობილებზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში მონაწილე ეკრძალება რბოლის დროს გამოყენება.
- მოყვარულებში აკრძალულია სპორტული საბურავი (სლიკი) და ნახევრად სპორტული საბურავები. ასევე ავტომობილი რომელიც იქნება არაქარხნულ მდგომარეობაში (დაშლილი სალონით ან იქნება აღჭურვილი უსაფრთხოების კარკასით ტექ.კომისრის და შეჯიბრების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დაიშვებიან Over All კლასში.
- მონაწილის მიღწევებიდან ან მისი გამოცდილებიდან გამომდინარე თითოეული მონაწილე გადადის Over All კლასში, თითოეული მონაწილე რომელიც საპრიზო ადგილას გავიდა შვიდჯერ, ავტომატურად გადადის Over All კლასში. Over All-კლასში დაშვებულია ყველა ტიპის საბურავი.
- მოცემული დებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი წესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრებიდან.

#### 4. მონაწილეები

შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის მოქმედი ლიცენზია.

#### 5. უსაფრთხოების ნორმები

მონაწილე პასუხისმგებელია, როგორც კეიპაუის წევრის, ასევე მისი წარმომადგენლის, მექანიკოსის და იმ პიროვნების ქმედებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მონაწილეობას შეჯიბრებაში.

მონაწილეს სერვის ზონაში აქვს უფლება იყოლიოს 1 მექანიკოსი (სულ მონაწილე და მექანიკოსი (2 კაცი))  
პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში ევალებათ უშუალოდ დამნაშავე პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

## **6. მონაწილე ავტომობილები**

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან აღნიშნული სერიის 2019 წელს მიღებულ ტექნიკურ მოთხოვნებს;

კლასები ნაწილდება შემდეგნაირად:

- წინა ამძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - FWD,
- უკანა ამძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები - RWD.
- Over All“ FWD – RWD – AWD : წინა ამძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები, უკანა ამძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები, ოთხივე ამძრავი თვლებით აღჭურვილი ავტომობილები

ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში მრბოლელს ტექნიკური ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა ხუთი წუთი მოწინააღმდეგის სტარტზე გამოცხადებიდან, დროის გასვლის შემთხვევაში მრბოლელი ავტომატურად ეთიშება შეჯიბრებას, ასევე ეკრძალება სხვა ავტომობილით გამოსვლა

## **7. პროტესტები**

– პროტესტები მიიღება მონაწილისაგან ან წარმომადგენლისაგან წერილობით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე კონკრეტული გარბენის დამთავრებიდან 10 წუთის განმავლობაში.

## **8. შეჯიბრების განსაზღვრა**

შეჯიბრებაში ~~ყოველ~~ გამარჯვებულები გამოვლინდებიან თითოეულ კლასში დაკავებული პირველი სამი ადგილის მიხედვით.

- 1) პირველი ადგილი - ფულადი თანხა მედალი, დიპლომი
- 2) მეორე ადგილი - ფულადი თანხა მედალი, დიპლომი
- 3) მესამე ადგილი - ფულადი თანხა მედალი, დიპლომი

## **9. შენიშვნები და განმარტებები**

1. საორგანიზაციო კომიტეტს ან შეჯიბრების ხელმძღვანელს ან აქვს უფლება დამატებების და ცვლილებების შეტანისა ასპარეზობის დებულებაში წინასწარ წერილობით ან საერთო განცხადების სახით შეჯიბრების დაწყებამდე სავალდებულო ბრიფინგზე.
2. ორგანიზატორს აქვს უფლება გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრების მსვლელობა ფორს-მაჟორული პირობების შემთხვევაში და არ აგებს პასუხს არანაირ მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.
3. მონაწილის მიღწევებიდან ან მისი გამოცდილებიდან გამომდინარე შეჯიბრების ხელმძღვანელს ეტაპის ორგანიზატორთან შეთანხმებით აქვს უფლება არ დაუშვას აღნიშნული მონაწილე რომელიმე ჩათვლით ჯგუფში და გაიდაიყვანოს Over All“ კლასში.